სსრ კავშირის თასზე

18 ივნისს გაიმართა მეთექვსმეტედფინალის მატჩები, სსრ კავშირის თასზე ფეხბურთში, რომელშიც მონაწილეობდნენ "ა" კლასის გუნდები.

პირველივე მატჩი თასზე წააგო თბილისის "დინამომ". თბილისელები თამაშობდნენ ქ. კალინინში ადგილობრივი "ვოლგის" წინააღმდეგ. ეს გუნდი საბჭოთა კავშირის პირველობაზე "ბ" კლასში თამაშობს რსფსრ-ს 1 ზონაში, სადაც დღეისათვის უკავია მეხუთე ადგილი.

მატჩის ძირითადი დრო დამთავრდა ფრედ - 2:2. დამატებით 10 წუთში მასპინძლებმა კიდევ 2 ბურთი გაიტანეს დინამოელთა კარში და მიაღწიეს საპატიო გამარჯვებას. თბილისელები თასის გათამაშებიდან გამოითიშნენ.

"ლელო", 18 ივნისი, 1963 წ.